# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 716

დამატების № 128

კვირა, 6 ნოემბერი 1916 წ.




ალექსანდრე ჭავჭავაძე
(გარდაცვალების 70 წლ. შესრულების გამო).

## ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები *)

### მუხამბაზი ლათაიური.

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიალალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი!
შემოდგომამა ბახუსი
საწნახელში ჩააყენა!

რაგინდ ზამთარი ჰყინავდეს,
გინდ ყვავიც ველარ ჰფრინავდეს,
ვერ შეგვაშინოს სიცივემ,
თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს.

მინდა ვსვა—სალვინე მამე,
მოძღვარო, დასტური დამე!
წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,
წარღვნაა ამის მოწამე.

ნოემ რა ერთხელ ინება,
ყურძნის წვენისა გემება,
თვითონ ნუნუას მიუჯდა,
წყალი პირუტყვთ დაანება.

ვაჟკაცნო, მოდით დავლიოთ,
სჯობს რომე ღვინო დავსძლიოთ. *)

*) იმდენად ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოება ალ. ჭავჭავაძეს, რომ საჭიროდ მიგვაჩნია გადმოვბეჭდოთ აქ მისი რამდენიმე ლექსი 1881 წელს გამოცემულ ლექსების კრებულიდამ.

*) სჯობს რომე ღვინო დავგლიოთ.



იტალიის გენერალისიმუსი (მთავარ-სარდლი) გენერ. კადორნა.

ომამდის სისხლად იქცევა,
მერმე ბრძოლაში დაჲსთხიოთ.

რა ომის ცეცხლი ასტყდება,
ბრძენი სიფრთხილით წახდება;
მაგრამ ღლეული მაშინვე,
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება!

ჰკვიანო, ნუ შვრები ყბედვით,
შენ წინ ვერ მიხვალ გაბედვით.
გულს ომამდისვე გაიხეთქ,
განსაცდელთ წინასწარ ხედვით.

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა.
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს,
და ლოთი გამარჯვებასა.

აქიმო, თუ გაქვს ქამალი,
ჰსცადე ეს ჩემი ნასწავლი:
რაც სენი უკურნალ იყოს,
ღვინოა იმის წამალი!

ბებერო, თქვენც მეთანხმებით,
ღვინის ქებისა ხსენებით,
რჯულისთვის მაინც დავლიოთ,
მაჰმადის გამოჯავრებით.

ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება:
მდიდარნი ბევრნი ყოფილან,
ოხრათ რჩენიათ ქონება.

მაშ მოდით ისევ ღვინითა,
დრო გავატაროთ ლხინითა;
ქეიფი მაინც მოგვივა,
გოგრითა ვსვათ, თუ ჩინითა.

როს დავესწრათ გაზაფხულსა,
ველსა ვსხდეთ მწვანით შემკულსა, *)
ჩვენ წითელს ღვინოს ვეწაფნეთ,
ვარდი ვანებოთ ბულბულსა.

ჰოჲ საყვარლისა ვერ მნახო,
როდემდის იგლოვო ახო?
აბა შენც ჩვენთან ჩაღლივე,
თუ რომ შენც არ შემოსძახო!

ზაფხულს ღამე თუ დილითა,
ვერ ვინ ვერ იშვებს გრილითა;
ჩვენც სიცხე ვერას დაგვაკლებს,
ვსთვრეთ, გავატაროთ ძილითა!

*) ვარიანტი: ველსა ვსხდეთ მწვანეთ მოსილსა.

## ყაფია თეჯლისა.

არავის მართებს მის ვარდისა მიხვედრა,
ვის გლახ გული დაემონა და ესვა!
ბედმან იგი მე მხოლოსა მახვედრა,—
გულს ისარი შურით ყვავს რათ დაესვა?

მტილს ეარნა, ალვის მნახთა ეხარათ,
მისად სატრფოდ იათ თავი ეხარათ.
ვნახე ვარდი სწითლდა და ვსთქვი: ეხა, რათ?!
მითხრეს, ფერი მორცხობისა დაესვა.

უკვირსთ მნახთა, ესე მბადმან არსა რა? [1])
ვის უშვენა არცა ეტლი, არ სარა,
ესე მნათი შვიდთაგანი არს არა,
მაშა ესე აპოლლონს თუ დაესვა.

ვინც მხელთავად მისად თავი იგულოს,
გულიც ჰკარგოს და ვერც იგი იგულოს, [2])
გინა ოხვრით ბაგეც აღარ იგულოს,—
არ უსმინოს მან ეს ოხვრა და ეს ვა!

უქებ წელსა, მეტყვი, მისგან რა მინა?
ვით რა მინა? ხელ ვარ, ვნახე რა მინა!
შენ თუ „ვისობ“, სხვა ეძიე „რამინა“. [3])
ცუდ მაშვრალობ, ჰსაჯე სად ბედს დაესვა.

## მუხამბაზი ბოჲ ხალვაჩინარის ხმაზე.

უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად;
რისთვისა მყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესელად?
რად მაჩვენე შვენება გულის დასატყვევნელად,

სახე სხვათა სახეთა შობილი დამჩაგვრელად?
ვიცი,—მისი იხმარენ მშვილდნი ჩემად საწყლველად,
და ჰინდელნი ლესულნი საკვდად, განსაისრველად.
უწყალო სიყვარულო და სხვა.

გრძნეულთა მათ მახვილთა ესე რა ჰსჭირებიან,
ყოვლნი მათგან კოდვილნი მათვე ემსჭვალებიან?
გული მიწყლეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან,
ესზომად ჰსწყურთ სიახლე, რაზომთაც ივნებიან.
თვით გონებაც მათ ჰისდევს, ვაი რჩომილსა ხელად!
უწყალო სიყვარულო და სხვა.

[1]) უკვირსთ მჭვრეტთა ესე მათ არ ის არა
[2]) გულიც ჰკარგოს, არც თუ გული იგულოს.
[3]) ის თუ „ვისობს“ სხვაა მისი „რამინა“.



ჩუქა ერზინჯანში.—ნახ. ხ. მუსაევისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ეზოპე**, სურათი **ველასკესისა.**

მათ მოსისხლეთა ჩემთა ოდეს განვიცდი თვალით,
მიზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით.
ხან აღმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მთვრალით
უძრავად ვმდუმარეობ და ვიწვი წვლილის ალით,
ოხვრალა მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.
უწყალო სიყვარულო და სხვა.
ოდეს ვჰშორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,
სოფელი მჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრების;
ვჰრბი და მსდევენ დასები სევდის და მწუხარების.
მასვე საგანს ვეძიებ, გარნა ვერსადა მხვდების;
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემექმნების ბნელად.
უწყალო სიყვარულო და სხვა.
ბედნიერნო ჭაბუკნო, თუ გწადსთ მრთლად დაცვა გულთა,
ექრძალენით ვარდთ, ზამბახთ, საროზედ აღზარდულთა!
თვარა თვალთავე თქვენთა, მათ მიერ მიზუდულთა,
ძალუძსთ მონად ქმნა თქვენი ვითა ტყვედ მისყიდულთა;
ვერღა გკურნოსთ ჩივილმან, გინა ჰსხდეთ ჩეშებრ მთქმელად:
უწყალო სიყვარულო და სხვა.

* * *

ძვირფასო საყვარელო, მხოლოდ მფლობო გულისავ,
რომელსაცა სხვა მსგავსი არა სად გეპოება,
შენ გეტრფი, შენგან ვცოცხლებ, სულო ჩემის სულისავ,
მარამ სურვილი ვითა სრულად გამოითქმება!
ბუნებაში საცა რას ვხედავ შვენების მქონეს,
შენი საამო სახე ყველგან მიდგს თვალთა წინა:
არ მცილდები ხედვითგან, მარადის შენსა მგონეს,
ზეცითრე გარდმოსულთა ვსჭვრეტდე გრაცათა გინა.
ოდეს აღვიღებ კალამს, ესოდენ მაქვს სასურვოდ,
რომე ვიხარო წერით შენისა სახელისა;
სხვათა ყველათ საქებრად ჩანგი მშთომია უხმოდ,
შენ მხოლო ხარ აღმსთობით აღმძვრელი მისის ხმისა.
შენთანა ვარ თუ სხვაგან, მახლობლად თუ შორს ქმნილად,
ლხინად, შვებად განცხრომად შენი ოდენ მაქვს ტრფობა:
სოფელსა ამას შინა შენ მჩან ყოველ კეთილად,
გულს შენგან აქვს სიცოცხლე, და სიცოცხლეს დატკბობა!
საცა გინდა ვიყომცა, გარეთ, შინ, სოფლად, ველად,
შენი შვენების ხატი ვითა განმეშორების?
მას ჰქმნია ჩემს გრძნობაზედ სურვილი შთამბეჭვდელად,
ხედვა მის მზერს ძილადმე და ფიქრი მასთან ჰსტკბების.
თვით ჟამსაცა ძილისას არა მაქვს ბედი მწყრომე:
სიზმარი მასმენს შენგან გამომხდარს ნაზსა ხმასა.
განვიღვიძებ—ჩემთან ხარ, და სიამით ვჰხედ რომე
გულს შენ უწინ ჰსცემ ნათელს, ვიდრე მზე ქვეყანასა!

## გოგჩის ტბა.

გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო წმინდა, უძრავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.
მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძვით მმოსველნი,
საგლოვო ნიშნი შენობათა კვლავ ეროვანთა,
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა,—
ჰმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ.
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა
თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხრვით ეს გრძნობა:
აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულ ხარ, ხედვავ ბრმობილო!
ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილი ტაძრად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ ვრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა,
დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლელი
მუნ შეაფერებს საქონელთა, შორით ზიდულთა!
ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან;
სომეხნი მკრთალნი, ხელოვანნი მომგებლობისა,
პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან.
მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე
არა-თუ ვეცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე;
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!
მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს ქვა-ყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნის ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცა და ისართ სროლა.
ერთგზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან:
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.
აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც ულრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა.
რავდენთ ბანოვანთ შვენებანი ახლად მშლილობნი
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი, და გიშრის მწყობრნი
რავდენგზის ტურფად გარდულია სარკესა წყლისას!?
რავდენგზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით,
უგრძნია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა!?.. დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

1841 წ. მარტი.

# დაჲ

**მოთხრობა აბდულლაჰ-ზუჰდისა.**

(თარგმანი ოსმალურიდან).

**ძღვნად ქ-ნ ნ. ყიფიანისას.**

სიცოცხლე ერთ გვარად, უცვლელად, გაჭირვებაში, მწუხარებაში და ცრემლების ღვრაში ილეოდა. ყველაფერს მოკლებული იყო ოჯახი გარდა სინდისისა და პატიოსნების, სიყვარულისა და გულწრფელობისა, ამ საპატიო ოჯახის ყოველი წევრი ბედისწერას შეეჩვია. გარეშესთვის რომ თავიანთ აუტანელი მდგომარეობა არ ეჩვენებინათ და სხვების თვალში წინანდელი ფასი და ღირსება არ დაეკარგათ, სახლში ყოველ გვარს გასაჭირს იტანდნენ. შვილი დედის, და-ძმისა, ძმა-დის სარჩენლად რომ არ გამხდარიყო და რომელიმე საჭიროებისთვის რომ ერთმანეთი არ შეეწუხებინათ ღ ეს უქონლობა, გაჭირვება არ ეგრძნოთ,—ისეთს, დიადობას, ისეთს გმირულს თავდადებულობას, მოთმენასა და სიმხნევეს იჩენდნენ, რომ ამ დიადისაგან ზოგჯერ დედა, ზოგჯერ ძმა და ზოგჯერ დები გულის სიღრმიდან მოსთქვამდნენ. ამ მოთმენასა და მოთქმასაც არავის უმჟღავნებდნენ.

ისევ დედის ღვთაებრივი სიმტკიცისა და მუყაითობით სამზარეულო მეტად სუფთა იყო, საჭმელი მცირე, ნაირ-ნაირი არა, მაგრამ გემრიელი, კეთდებოდა. სახლის შინაგანი მორთულება დების სასწაულთმოქმედი, მადლიანი, ბროლის თითებით, მუდამ-ჟამ შემკული, საამური, მომხიბლავი იყო და პატარა ძმას, ე. ი. ყუდრეთის საცვალები და ტანთ-საცმელები ახალი არაა, მაგრამ ყოველთვის დაუთოვებული და სუფთად დალაგებული ჰქონდათ.

დედა და უფროსი და ყუდრეთისა პატარას რაღაც საიდუმლოებას უმალავდნენ. მეწვრილმანის თავდებობით, რომელთანაც ძველიდანვე ვაჭრობა ჰქონდათ გამართული, თვეში სამოცდა თხუთმეტი მარჩილის გადახდის პირობითა, ოთხას სამოცდა თხუთმეტი მარჩილის საკერავი მანქანა შეეძინათ.

ერთს მშვენიერ დილას, ადრიანად დედა სახლიდან გავიდა, სადღაც გაეშურა და იღლიაში ამოდებული სავსე ბოხჩით დაბრუნდა. საცვლები იყო. საპატარძლო ქალიშვილის სახლში სახმარი სამოსელი არისო. უფრსი დაჲ გათენებამდე უძილოდ ამ საკერავებს ამზადებდა...

ზედმეტი მეცადინეობისაგან დაღლილ-დაქანცულს ყუდარეთს წიგნი ხელიდან გამოუვარდება. ღამის მყუდროების წიაღში ყველაფერი და ყოველივე ძილს მისცემია ამ დროს, მაღლა ოთახში, ლამპარის წინ, მშვენიერი, დაუღალავი ხელებით, დიდის სიბეჯითითა და სიმხნევით მუშაობს საყვარელი და. საკერავი მანქანის ხმა მოისმის.

— ჯერაც მუშაობს, ჯერაცა...

ბუტბუტებს ყუდრეთი. თუმცა იცოდა, ეს მუშაობა დის მეგობარი ქალისთვის იყო, მაგრამ მაინც გული უწყალდებოდა. ამ გვარი სულიერი განცდის მეოხებით, სიზმარში სულ დის უბედურება ელანდებოდა: ავად გახდომა, ნელი ხველა, ტკივილები, და ბოლოს სიკვდილი... სამუდამოდ გაყრა, საზარელი სურათები. ყოველ დილას გამზადებული ჰქონდა სათქმელად:

— აწ კი კმარა... ამდენს ნუ მუშაობ!..

მაგრამ თქმა ვერ გაებედნა. მერე განა თვითონაც იმდენს არ მუშაობს? განა იგიც როგორც დაჲ შუაღამემდის არ მეცადინობდა? მხოლოდ საპატარძლო მეგობარი ქალიშვილის საკერავებს ბოლო არ ელებოდა თითქმის მთელი ზამთარი ასე გავიდა.

კვლავ შუაღამე იყო. ყუდრეთი ნამეცადინარი იყო, გამოცდისათვის ემზადებოდა. მეტად ციოდა. სუსხიანი ქარი მძვინვარებდა. წვიმა შეუჩერებლივ ფანჯრის მინებს უშხაპუნებდა. შორიდან ღრმა ღმუილი მოისმოდა. მაყალი ჩამქრალი იყო, და ლამპაშიაც ნავთი ილეოდა. ყუდრეთი იმ ზომამდე დაღლილი იყო, თავი იმდენად დამძიმებოდა, რომ დაწოლაც ეზარებოდა. დივანზე მიწოლილს წიგნი ხელიდან გაეშვა და ფიქრში იყო. ზედმეტ მუშაობას სხეული მოექანცა, და ძილიც გაეკრთო. თვალის ქუთუთოები ძალზე ეხუჭებოდა, სთვლემდა, მაგრამ მაინც ვერ დაეძინა.

რა უნდა ექმნა, ვერ გაერკვია. ყველაფრის იმედდაკარგული, მაცადინეობითა დაღლილი და გალახული ფიქრებს ეძლეოდა, და ეს ფიქრებიც მღვრიე, არევ-დარეული, შეუსაბამო და არა წესიერი იყო.

ამ დროს ზემო სართულიდან საკერავი მანქანის ხმაურობა შოესმა;

— ტიკ, ტიკ... ტიკ!..

აღშფოთებული და მწუხარებითა მღელვარე გულის სწრაფი, არანორმალური გულის ძგერასავით. მოისმოდა ხმაურობა. ზოგჯერ გაძლიერდებოდა, ზოგჯერ შეჩერდებოდა...

ყუდრეთმა, ეს ხმაურობა—ნახევრად ბურანში და ოცნებაში ყოფნის დროს—გაიგონა—ჯანის გამომლევი ჭკუა-გონებისა ტანჯვა. დანაღვლიანებულ გულში ლახვარი ჩაეცა და მის ფართო და განიერ შუბლს ცივი ოფლი გადაესხა. ყველაფერს წყვდიადსა და ორჭოფობაში ხედავს...

შუა ღამის შემდეგ მომუშავე ანგელოზის, თავდადებული დის დაუსრულებელი შრომა ღვთაებრივად, სასიამოდ და მასულდგმულებლად დაურჩა და მის სადიდებლად თვალთაგან ცრემლის ნაკადული წასკდა. ამ იდუმალმა, სულიერი მწუხარებით აღსავსე მოთქმამ, მას გული დაუმშვიდა, ფიქრები დაუწყნარა... ეს დაჲ ასე რად მუშაობდა, ასე შუაღამისას მშვენიერსა და ნაზს ხელებს საკერავის მანქანათა რად იგლეჯდა? რა კარგად ესმოდა, ყველაფერი ეხლა ამ დიდებული და თავ-გამოდებული დისადმი ისეთი მიმზიდველი გრძნობა აღძრა, რომ კიბის საფეხურები ხტომით აირბინა, დის ოთახს რომ მიუახლოვდა, არ დავაშინოვო, ცერებზე შედგა და ათრთოლებული ხელებით ნელ-ნელა კარები შეაღო.

დაჲ ძალზე გატაცებული და დაღლილი მუშაობდა... მაგიდაზე მდებარე ლამპის სინათლეს სახე მისი გაეშუქებინა. საკერავი მანქანის მოძრაობისაგან ეს სინათლე ღელავდა და ირგვლივ მთრთოლვარე ჩრდილებსა ჰფენდა. ჩრდილში მოსჩანდა ოცი წლის ახალგაზრდა ფერიმიხდილი და უსისხლო, სახე ჩამოლეული, ტანი უძლური და სუსტი, წმინდა და ღვთაებრივის მშვენიერებითა კეკლუცი; მის სახე ხან განათდებოდა. ხან მიბნელდებოდა. ცხადად გამოსჭვიოდა და მუდმივის საქმიანობითა გალახული და გრძელი ღამეების უძილობით დაღლილი, გაწითლებული და ჩაწყალებული თვალები, ერთ წერტილზე მიპყრობილი და მიქცეული. დაშლილი და მხრებზე დაფენილი თმები, ზეკაცისებურის სიმტკიცითა მუდამ ჟამ ამოძრავებული, სუსტი, ნაზი და ბუკსუტა ხელები, საუცხოვო ღმობიერებას გამოსთქვამდნენ... ამ უხმოდ მგალობელი არსების, ამ სპეტაკისა და ღვთისნიერი ქალიშვილის, სამწუხარო და სამოწყალო დის ცხოვრების ბრძოლის საასპარეზად გადაქცეული ოთახი, ისეთ წყნარსა და ამაღელვებელ სურათს წარმოადგენდა, რომ ყუდრეთმა ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ შესძლო. გულის სიღრმიდან უნდა ამოხეთქოდა „შეჩერდი!.. აწკი კმარა“!.. მაგრამ თავს ძალა დაატანა, არა სთქვა-რა, გული აუტოკდა. თვალები ცრემლებით აევსო. ცეცხლი მოედვა. შრომის დიდებასა, უქონლობის სიამაყისა, ნამუსის სიწმინდისა, ღირსების უმანკოებისა და უბიწობის მშვენიერ სურათს თვალი ვერ მოსწყვიტა, შეჩერდა...

მანქანა შეუწყვეტლივ მუშაობს. ქარი კვნესის, წვიმის წვეთები, ერთ ჰანგზე წვეთ-წვეთად ეცემიან. უფროსი დაჲ მუშაობს. მუშაობს დაუღალავის სიბეჯითითა. შეუცვლელის განზრახვითა, სიმტკიცითა და ვინ იცის, რა ფიქრებით გატაცებული მუშაობს!..

მემედი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.